# ხელშეკრულება №52
# გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**ქ. თბილისი** **15 სექტემბერი 2016 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის** თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), მისი სამხატვრო ხელმძღვანელის – ვახტანგ კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „რეზონი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის – რეზო რაზმაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, „3" პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით XXIV საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისი" - 400(ოთხასი) ცალი ბუკლეტების ბეჭდვითი მომსახურების (CPV79800000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 3620 (სამი ათას ექვსას ოცი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

## *3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 17 სექტემბერი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს – ვახტანგ კახიძე, სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

## *5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## *6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

**6.1.** შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის **შესაბამისობა ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ პირობებთან;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება ;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება **ხელ**შეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- შეასრულოს სამუშაო შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი პირობებით;

## *7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

**7.1.** მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე**ბლობა** გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, რომლის საფუძველზეც დამრღვევ მხარეს დაეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საჯარიმო სანქციები მხარეებს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებებისაგან.
7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## *8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 20 ოქტომბრამდე.

## *9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო

ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## *10. ფორს-მაჟორი*

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – მამუკა კაპანაძე, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დიზაინერი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *13. სხვა პირობები*

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ

მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## *14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი | შპს „რეზონი“ |
| თბილისი, დ.აღმაშენებლის №123-125 | ი/მის.: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73<br>ფ/მის. : ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73 |
| სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: TRESGE<br>ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში<br>ს/კოდი: 202055319 | სს „პროკრედით ბანკი“<br>ბ/კოდი: MIBGGE22<br>ა/ა GE11PC0133600100045816<br>ს/ კოდი: 203522220 |
| ჯანსუღ კახიძე | რეზო თაზმაძე |
| სამხატვრო ხელმძღვანელი | დირექტორი |